ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4358569

ნომერი: AR1656761

თარიღი : 22.01.2019

გაცემის თარიღი : 01.02.2019

გაცნობის თარიღი : 04.02.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 25 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ჯღარკავა პ/ნ 62001005437
- სოხუმი ტიტოვის III ჩიხი N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ონიაშვილის ქუჩა, №25 / ქალქი თბილისი, ონიაშვილის ქუჩა № 27-ში, შპს "სიეიჩ ჯგუფი CH Group"-ის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე ვიტრინების რეკონსტრუქციას (გაბარიტების უცვლელად ფრამუგების ფორმის შეცვლას).

პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას., რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 892018568380 02.07.2018 წ., საკადასტრო კოდი № 01.10.12.038.031.01.02.001; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მინდობილობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ონიაშვილის ქუჩა, №25 / ქალქი თბილისი, ონიაშვილის ქუჩა № 27-ში, შპს "სიეიჩ ჯგუფი CH Group"-ის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე ვიტრინების რეკონსტრუქციის (გაბარიტების უცვლელად ფრამუგების ფორმის შეცვლის) შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.